oikos CEE
Regional Meeting
Sustainable Agritourism
7-9 September
Tbilisi
oikos Tbilisi
www.oikos-tbilsi.org
info@oikos-tbilisi.org

oikos-Tbilisi-ს შესახებ

ა(ა)იპ oikos Tbilisi დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ 2011 წლის იანვარში. ის წარმოადგენს საერთაშორისო სტუდენტური ორგანიზაციის oikos International-ის სრულუფლებიან წევრ ორგანიზაციას. აღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობა დაკავშირებულია მდგრადი ეკონომიკური განვითარების კონცეფციის განვითარებასა და სტუდენტებში მისი გავრცელების ხელშეწყობასთან. ამისათვის ორგანიზაციის წევრ სხვადასხვა ქვეყნებში რეგულარულად იმართება საერთაშორისო კონფერენციები, სემინარები და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ oikos Tbilisi არც თუ დიდი ხანია არსებობს (oikos International დაარსდა 1989 წელს), მრავალი საინტერესო პროექტი აქვს განხორციელებული. oikos Tbilisi-ს სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულები ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ჩატარებული სტუდენტური და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებაში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ oikos Tbilisi-ს და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ერთობლივი ძალისხმევით საზღვარგარეთ სხვადასხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 16-მა სტუდენტმა.

პროექტის აღწერა

oikos Tbilisi-ს ინიციატივითა და oikos International-ისა და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მხარდაჭერით 2012 წლის 7–9 სექტემბერს ჩატარდება საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: მდგრადი აგროტურიზმი.

აღნიშნულ კონფერენციას დაესწრება oikos International-ის წევრი სტუდენტები შემდეგი ქვეყნებიდან: შვეიცარიია, საფრანგეთია, დიდი ბრიტანეთი, ჩეხეთი, გერმანიია, პოლონეთი და ა.შ.

აღნიშნული სამი დღის განმავლობაში დაგეგმილია სხვადასხვა სახის აქტივობა როგორც აკადემიური ხასიათის, ასევე გასვლითი ტური, რომელიც დაგვეხმარება უფრო ახლოს და ღრმად გავაცნოთ სტუმრებს აგროტურიზმის სფერო ჩვენს ქვეყანაში და გავუზიაროთ ერთმანეთს გამოცდილება.

კონფერენციის ფარგლებში ჩატარდება ლექციები შემდეგ თემებზე:

- აგროტურიზმი:

  განიხილება დღეს საქართველოში ამ სფეროში არსებული გამოწვევებიდა მათზე. მუშაობის გზები

- ეკოტურიზმი:

  ეკოტურიზმის მნიშვნელობა და როლი ეკონიმის მდგრად განვითარებაში.

- ბიომეურნეობები:

  ბიოპროდუქცია მაღალი თვითღირებულებით და შესაბამისად, მაღალი სარეალიზაციო ფასით გამოირჩევა. ისეთ მცირე ქვეყნებს კი, როგორიც საქართველოა განსაკუთრებული შესაძლებლობა აქვთ ბიომეურნეობების განვითარებისა და კონკურენტუნარიანი პოზიციების დაკავებისა. საქართველოს, მისი უნიკალური ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, აქვს ძალიან კარგი პერსპექტივა გახდეს ბიოპროდუქციის სერიოზული მწარმოებელი და კონკურენტუნარიანი ექსპორტიორი ევროკავშირის ქვეყნებისთვის.
- დაცული ტერიტორიები საქართველოში:

  საქართველოს დაცული ტერიტორიების უნიკალურობა და მისი მნიშვნელობა ეკოტურიზმის განვითარებაში.
- ახალგაზრდობის ჩართულობა ზემოაღნიშნულ საკითხებში:

  ურთიერთთანამშრომლობა და ახალი ინიციატივების შემოუსავება.
- სამინისტროების როლი აგროტურიზმის განვითარებაში:

  სამთავრობო დაწესებულებების მხარდაჭერის მნიშვნელობა აგროტურიზმის მდგრად განვითარებაში

კონფერენციისას განხორციელდება აგრეთვე ვიდეო ჩართვა, რომლის დროსაც ევროკავშირის წამყვანი სპეციალისტები წაიკითხავენ მოხსენებს კონფერენციის თემაზე და გაგვიზიარებენ თავიანთი ქვეყნების გამოცდილებას.

სტუდენტებს თითოეულ თემასთან დაკავშირებით საშუალება ექნებათ საკუთარი მოსაზრება დააფიქსირონ პრაქტიკული სამუშაოებისა და დისკუსიებისას. აღსანიშნავია ისიც, რომ სტუმრებს შორის იქნებიან მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების წარჩინებული სტუდენტები, რომლებიც საკუთარი მოხსენებებით გაგვიზიარებენ თავისი ქვეყნების გამოცდილებასა და აგროტურიზმის განვითარების ტენდენციებს.

თემის აქტუალურობა

სოფლის მეუნეობა და ტურიზმი საქართველოს პრიორიტეტულ დარგებადაა მიჩნეული, აქედან გამომდინარე შეირჩა აგროტურიზმი კონფერენციის თემად. კონფერენცია ხელს შეუწყობს სტუდენტების გათვითცნობიერებას ქვეყნის პრიორიტეტულ დარგებში და აგრეთვე, ჩვენი სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანია ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების სტუდენტების მოხსენებების გაცნობა და ერთმანეთისათვის გამოცდილების გაზიარება. კონფერენცია ხელს შეუწყობს ქართველ და უცხოელ სტუდენტებს შორის მჭიდრო პროფესიული ურთიერთობის ჩამოყალიბებას, ეს კი შემდგომი თანამშრომლობისა და ევროპავშირში ინტეგრაციის წინაპირობაა – ევროპის მომავალი ხომ მათ ხელშია.

კონფერენციაში მონაწილეობა

კონფერენციას დაესწრება 35-40 უცხოელი და 30 ქართველი სტუდენტი. ასევე ოფიციალური წარმომადგენლები სხვადასხვა სამინისტროებიდან. უცხოელი სტუდენტები იქნებიან შემდეგი უნივერსიტეტებიდან: ლონდონის ეკონომიკის სკოლა, შვეიცარიის სტ. გალენის უნივერსიტეტი, ბარსელონის ESADA ბიზნეს სკოლა, პრაღის ეკონომიკის უნივერსიტეტი, ბუდაპეშტის კორვინუსის უნივერსიტეტი, ბეირუთის უნივერსიტეტი, ლუბლინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, კრაკოვის პედაგოგიური უნივერსიტეტი, ისლანდიის უნივერსიტეტი, ვარშავის ეკონომიკის სკოლა, და ა.შ.

პარტნიორობისა და სპონსორობის შემთხვევაში

თქვენი კომპანიის სახელის და ლოგოს განთავსდება მოხდება შემდეგი სახით:

- **პოსტერი**
- **ფლაერი**
- **ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ–საიტზე.**
  როგორც ადგილობრივი წარმომადგენლობის: www.oikos-tbilisi.org ასევე ცენტრალური ოფისის ვებ–გვერდზე: www.oikos-international.org აღსანიშნავია, რომ მოცემულ ვებ–გვერდებს სტუმრობს მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტებისა და საგანმანათლებლო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ეს განპირობებულია იმ წარმატებულ პროექტთა სიმრავლით, რომელიც ყოველ წელს ხორციელდება.
- **სოციალური მედია**
  როგორც ადგილობრივი წარმომადგენლობის ასევე ცენტრალური ოფისის სოციალურ გვერდზე.
- **პროექტის მანძილზე მონაწილეები განსაზღვრული დროით მოირგებენ კომპანიის მაისურებს.**
- **სპონორის სურვილის შემთხვევაში, კონფერენციის როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ კომპანიის სარეკლამო კამპანიაში, ვიდეო ინტერვიუსა თუ სხვა სახით.**
- **კონფერენციის გახსნისა და დახურვის დროს საშუალება ექნებათ მოხსენების გაკეთების.**
- **კონფერენციის მსვლელობის დროს გამოყოფილი იქნება შესაბამისი ადგილი სადაც განთავსდება კომპანის სარეკლამო ბანერი თუ სხვა სარეკლამო პროდუქცია.**

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ჩვენს გვერდს:

http://tbilisi.oikos-international.org/projects/oikos-cee-regional-meeting.html

პარტნიორები და სპონსორები:

oikos International – საერთაშორისო სტუდენტური ორგანიზაცია მდგრადი ეკონომიკისა და მენეჯმენტისთვის

http://www.oikos-international.org

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

http://www.tsu.edu.ge/ge/faculties/economics

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

http://www.moa.gov.ge/

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო

http://www.moe.gov.ge/

სსიპ– დაცული ტერიტორიების სააგენტო

http://www.apa.gov.ge/

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

მდგრადი განვითარების დეპარტამენტი

http://www.greengeorgia.ge/

საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტი

http://youthparliament.ge/

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმართველობა

http://www.tsu.edu.ge

საინფორმაციო მხარდამჭერი: საინფორმაციო სააგენტო GeoNews.ge

http://geonews.ge/

დაუკავშირდით oikos–ს:

oikos Tbilisi

პრეზიდენტი: ლევან ფანგანი,
levan.pangani@oikos-tbilisi.org

საქართველო, 0102, თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. 27
president@oikos-tbilisi.org

ტელ: +995 32 214 18 67

მობ: +995593557749

ვებ–გვერდი: www.oikos-tbilisi.org

oikos International

პრეზიდენტი: დევიდ ვრობლევსკი
dawid.wroblewski@oikos-international.org

შვეიცარია, 9000 სანკტ გალენი, ტიგერბერგსტრასეს ქ. 2
president@oikos-international org

ტელ: +41-(0)71-224 25 94

ფაქსი: +41-(0)71-224 27 22

ვებ–გვერდი: www.oikos-international.org